საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარეს ბატონ **შალვა პაპუაშვილს**

ასლი: საქართველოს პარლამენტის
საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის
თავმჯდომარეს ბატონ **ნიკოლოზ სამხარაძეს** (ცნობისათვის)


მოქალაქე **ნიკოლოზ ნიკოლაძის** პ/N
[redacted] მცხ.: [redacted]
[redacted] ტელ.: [redacted]


# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

**საკანონმდებლო წინადადების წარდგენის შესახებ**

ბატონო შალვა,

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 105-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ საკანონმდებლო წინადადების **„უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“** საქართველოს კანონით რეგულირებულ იმ საკითხ(ებ)თან დაკავშირებით, რომლებთან მიმართებითაც ვფიქრობ, რომ საჭიროებს შემდომ დახვეწას.

დანართი:

- ✓ საკანონმდებლო წინადადება - საქართველოში სამოგზაუროდ ვარგისი უცხო ქვეყნის სამგზავრო დოკუმენტების ნუსხის შემუშავების შესახებ;
- ✓ DECISION No 1105/2011/EU OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL of 25 October 2011;
- ✓ List of travel documents which entitle the holder to cross the external borders and which may be endorsed with a visa1 (Part III: Travel documents issued by international organisations and other entities subject to international law & Travel documents issued by third countries and territorial entities);
- ✓ რამოდენიმე სტატია სამგზავრო დოკუმენტების აღიარებასთან დაკავშირებით.

პატივისცემით,


საქართველოს პარლამენტის აპარატი
საქმისწარმოების დეპარტამენტი
შემოს.№ 1-15621/22
28 11 2022 ფურცელი 3


[1] იხ. ბმული: https://www.consilium.europa.eu/prado/en/prado-recognised-documents.html

<u>საქართველოს პარლამენტს</u>

**საკანონმდებლო წინადადება**

საქართველოში სამოგზაუროდ ვარგისი უცხო ქვეყნის
სამგზავრო დოკუმენტების ნუსხის შემუშავების შესახებ

- **ცვლილების სახეობა:** „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ.

- **კანონის პროექტის მიღების დასაბუთება:** 2022 წლის ნოემბერის მეორე ნახევარში ევროპარლამენტმა საქართველოსა და უკრაინის ოკუპირებულ რეგიონებში რუსეთის ფედერაციის მიერ გაცემული პასპორტების არაღიარებას 531 დეპუტატმა მხარი დაუჭირა (წინააღმდეგი 7, თავი შეიკავა 34)[2]. გარდა ზემოხსენებული გადაწყვეტილებისა, სახელმწიფოთა მიერ გვხდება არაერთი გადაწყვეტილება, რომელიც სამგზავრო დოკუმენტების, მაათ შორის არაღიარებული რეჟიმების მიერ გაცემული დოკუმენტების აღიარებას ეხება.
ამ ვითარებაში ინტერესის საგანს უნდა წარმოადგენდეს ის რეგულაციები, რომელიც მსგავს შემთხვევებთან მიმართებით საქართველოს კანონმდებლობა აწესებს. საქართველოს მთავრობის 23/06/2015 280 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს ვიზის გაცემის, მისი მოქმედების ვადის გაგრძელებისა და მოქმედების შეწყვეტის წესის მე-19 მუხლის (ვიზის მისაღებად წარსადგენი დოკუმენტაცია) 1-ლი პუნქტის შესაბამისად, ვიზის გამცემ ორგანოს ვიზის მისაღებად წარედგინება სავიზო განაცხადი, სამგზავრო დოკუმენტი, მოსაკრებლის ან ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი *(თუ აღნიშნულს ითვალისწინებს კანონმდებლობა), წარმომადგენლობის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (საჭიროების შემთხვევაში),* ჯარიმის გადახდის (თუ შესაბამისი სანქცია დაკისრებული აქვს) და შესაბამისი გარემოებების დამადასტურებელი დოკუმენტი. ამასთან, ამავე დადგენილებით დამტკიცებული წესის 22-ე მუხლის შესაბამისად, ვიზის მისაღებად წარდგენილი სამგზავრო დოკუმენტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

  - სამგზავრო დოკუმენტის მოქმედების ვადა უნდა აღემატებოდეს ვიზის მოქმედების ვადას არანაკლებ სამი თვით;
  - უნდა შეიცავდეს ვიზის ბლანკის დასატანად ვარგის, არანაკლებ ორ თავისუფალ გვერდს, გარდა e-VISA PORTAL-ის მეშვეობით სამგზავრო დოკუმენტისა;
  - არ უნდა იყოს დაზიანებული და არ უნდა შეიცავდეს არაოფიციალურ ჩანაწერებს. e-VISA PORTAL-ის მეშვეობით წარდგენილი სამგზავრო

[2] იხ. ბმული: https://www.europarl.europa.eu/news/en/press-room/20221118IPR55715/meps-vote-not-to-accept-passports-issued-by-russia-in-occupied-areas

დოკუმენტის შემთხვევაში მოწმდება სამგზავრო დოკუმენტის პერსონალურ მონაცემთა გვერდი;

- გაცემული უნდა იყოს წინა 10 წლის განმავლობაში.

აღნიშნულის გარდა სამგზავრო დოკუმენტებთან მიმართებით საქართველოს სავიზო კანონმდებლობაში არაფერია მოცემული[3]. თუმცა, გამომდინარე საქართველოს მთავრობის 05/06/2015 525 და 526 დადგენილებით განსაზღვრული გარემოებებისა (ერთ წლამდე პერიოდით 94 ქვეყნის მოქალაქისათვის დაწესებული უვიზოდ შემოსვლის უფლება; 50 ქვეყნის ვიზის ან ბინადრობის ნებართვის მქონე პირთათვის საქართველოში 90/180 დღიან პერიოდში უვიზოდ შემოსვლის/ყოფნის შესაძლებლობა), უფრო მეტად აქტუალური უნდა იყოს საზღვრის კვეთისათვის ვარგისი სამგზავრო დოკუმენტების განსაზღვრა. „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონით არა თუ საზღვრის კვეთისათვის ვარგისი სამგზავრო დოკუმენტების შესახებ რაიმე ნორმას ადგენს, არამედ კანონით არაა მოცემული ის ზოგადი მოთხოვნები (გარდა ვალიდურობის საჭიროება), რომელსაც ისინი უნდა აკმაყოფილებდნენ.




- **იდენტიფიცირებული პრობლემა, რომლის გადაჭრა საკანონმდებლო წინადადების მიზანია:** სავიზო მომსახურებისა და საზღვრის კვეთისათვის გამოსაყენებელ სამგზავრო დოკუმენტებთან მიმართებით სახელმწიფო ინტერესების განმსაზღვრელი რეგულაციების უქონლობა.

---

3 ცნობისათვის: ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2008 წლის 9 ივლისის #767/2008 რეგულაციის მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, ვიზის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში ვიზის გამცემმა ორგანომ საჭიროების შემთხვევაში განაცხადის ფორმაში უნდა შეიყვანოს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ვიზა ცალკე ფურცლის სახით იქნა გაცემული (ევროკავშირის საბჭოს მიერ 2002 წლის 18 თებერვალს მიღებული #333/2002 რეგულაციაის შესაბამისად, რომელიც ეხება ვიზებზე მისამაგრებელ ერთიანი ფორმატის მქონე დოკუმენტებს ვიზის გასაცემად ისეთ პირებზე, რომლებსაც ამ ფორმის შემდგენი სახელმწიფოების მიერ არაღიარებული სამგზავრო დოკუმენტები გააჩნიათ. იხ. ბმული: https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/HTML/?uri=CELEX:02008R0767-20131018&qid=1455860482700&from=EN#E0022

უპირველეს ყოვლისა ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ მაშინ როდესაც ევროპის მხარის მიერ მიიღება ოკუპირებულ ტერიტორიებზე გაცემულ დოკუმენტებთან მიმართებით გადაწყვეტილება, საქართველოს მხარემაც შესაბამისი ნაბიჯები უნდა გადადგას. ევროპის კავშირთან გაფორმებული რეადმისიის შეთანხმების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, რეადმისიის განაცხადთან დაკავშირებით საქართველოს მიერ დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, საქართველოს კომპეტენტური დიპლომატიური მისია ან საკონსულო სამსახური, რეადმისიას დაქვემდებარებული პირის სურვილის მიუხედავად, დაუყოვნებლივ და არაუმეტეს 3 სამუშაო დღის განმავლობაში, გასცემს რეადმისიას დაქვემდებარებული პირის დაბრუნებისთვის აუცილებელ სამგზავრო დოკუმენტს, რომელსაც გააჩნია 90 დღიანი მოქმედების ვადა. თუ საქართველომ 3 სამუშაო დღის განმავლობაში არ გასცა სამგზავრო დოკუმენტი, ჩაითვლება, რომ ის ცნობს ევროკავშირის სტანდარტულ სამგზავრო დოკუმენტს, რომელიც გამოიყენება ქვეყნიდან გაძევების მიზნით. საქართველოს სხვა საერთაშორისო შეთანხმებებით ასევე მოცემულია ნორმები, რომლებიც სამგზავრო დოკუმენტების ცნობას ეხება. მაგალითად საზღვაო სავაჭრო ნაოსნობის შესახებ შეთანხმებები, სადაც ეკიპაჟის და მათი ოჯახის წევრთა ნავსადგურში ყოფნის უფლებებიდან გამომდინარე აღიარებს შესაბამის საიდენტიფიკაციო დოკუმენენტებს[4]. როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოს შიდა ეროვნული კანონმდებლობის საფუძვლად, იმ დოკუმენტების ნუსხა, რომელთა მფლობელებს საქართველოში ეძლევათ შემოსვლის უფლება, მათ შორის სავიზო მომსახურების გაწევის ფარგლებში, საკანონმდებლო დონეზე არ არის დადგენილი. ამ მხრივ საინტერესო უნდა იყოს საერთაშორისო გამოცდილებაც. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2011 წლის 25 ოქტომბრის No1105/2011/EU გადაწყვეტილებით დადგენილ იქნა სამგზავრო დოკუმენტების ჩამონათვალი, რომლის მფლობელებს აძლევს საზღვრის კვეთის უფლებას. ასევე, ისინი შეიძლება გამოყენებულ იქნეს სავიზო მომსახურებისას. გადაწყვეტილება ეხება სამგზავრო დოკუმენტებს, როგორიცაა ეროვნული პასპორტი (ორდინალური, დიპლომატიური, სამსახურებრივი/ ოფიციალური ან სპეციალური პასპორტი), EMERGENCY TRAVEL DOCUMENT, ლტოლვილის ან მოქალაქეობის არმქონე პირის სამგზავრო დოკუმენტებს და სამგზავრო დოკუმენტებს, რომელიც გაცემულია საერთშორისო ორგანიზაციების მიერ. No1105/2011/EU გადაწყვეტილების 1-ლი მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გადაწყვეტა გავლენას არ ახდენს წევრი სახელმწიფოს კომპეტენციაზე სამგზავრო დოკუმენტის აღიარებასთან მიმართებით. შესაბამისად, მოცემული ჩანაწერით არა მხოლოდ სამგზავრო დოკუმენტების თავმოყრას ახდენს, არამედ სახელმწიფოს პოლიტიკის შემადგენელ ნაწილადაც აღიქვამს. Travel document for return to Georgia[5]-

---

4 მხედველობაშია მისაღებია საქართველოს მთავრობის 05/05/2015 255 დადგენილების შენიშვნის მეორე პუნქტით განსაზღვრული პირადობის მოწმობით საქართველოში შემოსვლის შესაძლებლობა. ასევე, „უცხოელთა და მოქალაქეობი არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული გარემოებები.

5 საქართველოს მთავრობის 20/06/2014 N426 დადგენილებით დამტკიცებული დებულების შესაბამისად, საქართველოში დასაბრუნებელი მოწმობა განმარტებულია როგორც უცხოეთიდან

სთან მიმართებით ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს შემდეგი სახის დათქმები აქვთ გაკეთებული:

| | |
|---|---|
| recognised for exit to return to Georgia | EE, HU, NO |
| only for Georgia nationals to return to Georgia | ES, |
| recognised for exit or transit to return to Georgia | DE, SK, C4 |

ზემოხსენებულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, რომ უცხო ქვეყნის სამგზავრო დოკუმენტებებთან მიმართებით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავების პროცესის უზრუნველყოფის მიზნით, უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ საქართველოს კანონით განისაზღვროს უფლებამოსილი ორგანოების (შსს და საგარეო საქმეთა სამინისტრო) ერთობლივი ბრძანებით სავიზო უზრუნველყოფისა და საზღვრის კვეთისათვის ვარგისი სამგზავრო დოკუმენტის ნუსხის მიღება. ამასთან, მონაცემთა მოპოვებასა და განახლებაზე პასუხისმგებლობა განესაზღვროს საქართველოს დიპლომატიურ სამსახურს (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 მარტის N226 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს საზღვრის მართვის სტრატეგიის შესაბამისად, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ახორციელებს უცხოეთის სახელმწიფოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან საქართველოს საგარეო ურთიერთობათა მართვასა და კოორდინაციას). ასე მაგალითად, მე-12 მუხლის შემდგომ დამატებული იქნას ქვემოაღნიშნული რედაქციის მქონე მუხლი:

**„მე-12[1] მუხლი: უცხო ქვეყნის სამგზავრო დოკუმენტები"**

1. დოკუმენტების უსაფრთხოების და საზღვრების ინტეგრირებული მართვის პროცესის ხელშეწყობის, ასევე, მიგრაციის პოლიტიკის სათანადო იმპლემენტაციის მიზნით, საქართველოს უფლებამოსილი ორგანოების მიერ შემუშავებულ იქნება უცხო ქვეყნების და საერთაშორისო ორგანოზაციების სამგზავრო დოკუმენტების ნუსხა;
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზვრული საქართველოს სავიზო უზრუნველყოფისა და საქართველოს სახელმწიფო საზღვრის კვეთისათვის ვარგისი სამგზავრო დოკუმენტების ნუსხა მტკიცდება საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ერთობლივი ბრძანებით;

---

საქართველოში დასაბრუნებელი (გამოსამგზავრებელი) ერთჯერადი სამგზავრო დოკუმენტად. დასაბრუნებელი მოწმობა გაიცემა ა) საქართველოს მოქალაქეებზე, მათ შორის, პირებზე, რომელთაც უდგინდებათ საქართველოს მოქალაქეობა; ბ) საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირებზე გ) საქართველოში ბინადრობის ნებართვის მქონე უცხოელებზე; დ) პირებზე, რომელთაც არ მიუღიათ უცხო ქვეყნის მოქალაქეობა და აკმაყოფილებენ ერთ-ერთ შემდეგ პირობას: დ.ა) 1993 წლის 27 მარტისათვის მუდმივად ცხოვრობდნენ საქართველოს ტერიტორიაზე, საქართველოს მოქალაქედ არ ჩაითვალნენ და 1993 წლის 27 მარტის შემდეგ არ მოხსნილან საქართველოში მუდმივი რეგისტრაციიდან; დ.ბ) საქართველოს მოქალაქეობა შეუწყდათ საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლის გზით; ე) პირებზე, რომელთა საქართველოს მოქალაქეობისადმი კუთვნილება დამაჯერებლად ივარაუდება; ვ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებზე, ამ დებულებით განსაზღვრულ შემთხვევებში; ზ) პირადობის ნეიტრალური მოწმობის ან/და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მფლობელ პირებზე.

3. სამგზავრო დოკუმენტების ნუსხის სისრულის/ შესაბამისობის დადგენის მიზნით, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო უზრუველყოფს უცხო სახელმწიფოებიდან და საერთაშორისო ორგანოებიდან ინფორმაციის პერიოდულ გამოთხოვას".

- **კანონის პროექტის მიზანი**: კანონპროექტების მიზანია სავიზო უზრუნველყოფისა და საზღვრის კვეთისათვის მიზნებისათვის ვარგისი სამგზავრო დოკუმენტების ნუსხის შემუშავება, აღნიშნულთან მიმართებით საჭიროებისამებრ სახელმწიფო პოლიტიკის დასახვა.
- **კანონის პროექტის ძირითადი არსი:** კანონის პროექტების თანახმად, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ" საქართველოს კანონს ემატება მეთორმეტე პრიმა მუხლი, რომლითაც დადგინდება სავიზო უზრუნველყოფისა და საზღვრის კვეთისათვის მიზნებისათვის ვარგისი სამგზავრო დოკუმენტების ნუსხის საჭიროება, მისი მიღების ფორმა და მონაცემების განახლების მექანიზმები.
- **საკანონმდებლო წინადადების ავტორი:**


საქართველოს მოქალაქე **ნიკოლოზ ნიკოლაძე,** პირადი ნომერი [redacted]
მცხ. [redacted] საფოსტო ინდექსი [redacted]
ელ. ფოსტა: [redacted] მობ.: [redacted]




**26/11/2022**